დანართი №1

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

შპს „ერუდიტი“

შეფასების თარიღ(ებ)ი 19-20 აპრილი

დასკვნის წარდგენის თარიღი: 17 მაისი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Nino Balanchivadze Digitally signed by Nino Balanchivadze

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
დაწესებულების სახელწოდება	ერუდიტი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შპს
საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	404897359

ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს:	
დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დიახ
საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დიახ
საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დიახ
საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	არა
საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	არა

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქ. თბილისი
იურიდიული მისამართი	ქ. თბილისი, 300 არაგველის III შეს. N5
ფაქტობრივი მისამართი	ჯურხა ნადირაძის ქუჩა N22
საფოსტო ინდექსი	0186
დაწესებულების ვებ-გვერდი	www.eruditi.edupage.org
დაწესებულების ელ-ფოსტა	eruditischool@yahoo.com
დაწესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი	599903928

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი)	ქეთევან ჯანუაშვილი
ტელეფონის ნომერი/ფაქსი	599903928
ელ-ფოსტა	eruditischool@yahoo.com

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

საავტორიზაციო ვიზიტის საფუძველი	სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 29/03/2022 წლის ბრძანება MES 0 22 0000320457
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2022 წლის 19-20 აპრილი
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე (სახელი, გვარი)	ცირა ნიკოლაშვილი
წევრი (სახელი, გვარი)	ნინო ბალანჩივაძე
წევრი (სახელი, გვარი)	
წევრი (სახელი, გვარი)	
წევრი (სახელი, გვარი)	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

IV. ვიზიტის შეჯამება

ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

სტანდარტი/ქვესტანდარტი		ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	☒	☐
1.1	სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	**მუხლი 6/ პუნქტი ა)**	☒	☐
1.2	სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	**მუხლი 6/ პუნქტი ბ)**	☒	☐
1.3	სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	**მუხლი 6/ პუნქტი გ)**	☒	☐
1.4	სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	☒	☐
1.5	შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილების შესაძლებლობით	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	☒	☐
1.6	შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	☒	☐
2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.1	დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	☒	☐
2.1.1	ერთ მისამართზე 250. კვ. მ. ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე ნაკლებგონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება უნდა დასტურდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ა)**	☒	☐
2.1.2	საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ბ)**	☒	☐
2.1.3	სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	**მუხლი 7 / პუნქტი ა.გ.)**	☒	☐
2.1.4	სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	**მუხლი 7 / პუნქტი ა.დ)**	☒	☐
2.2.	სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	☒	☐
2.3	სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	☒	☐
2.4	სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	☒	☐
2.5	სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	☒	☐
2.6	სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**	☒	☐
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ა)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ბ)**	☒	☐
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. გ)**	☒	☐
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. დ)**	☒	☐
2.6.5	კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ე)**	☒	☐
2.7	სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	**მუხლი 7/ პუნქტი ზ)**	☒	☐
2.8	შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	**მუხლი 7/ პუნქტი თ)**	☒	☐
2.9	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა	**მუხლი 7/ პუნქტი ი)**	☒	☐
3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	☒	☐
3.1	სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

3.2	სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	☒	☐
3.3	სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	☒	☐
3.4	მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	**მუხლი 8/ პუნქტი დ)**	☒	☐
3.5	სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	**მუხლი 8/ პუნქტი ე)**	☒	☐
3.6	სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	**მუხლი 8/ პუნქტი ვ)**	☒	☐

V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი (სტანდარტთან შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	*საგანმანათლებლო პროგრამები*	*ხარვეზი*
ქვესტანდარტი	*1.1.*	.....
	1.2.	.....
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*2.2.*	.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*3.1.*	

VI. რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა რეკომენდაცია, რომლებიც მიეცა დაწესებულებას სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	*საგანმანათლებლო პროგრამები*	*რეკომენდაცია*
ქვესტანდარტი	*1.1.*	*რეკომენდებულია, სკოლამ მინიმუმ ორი უცხოური ენა შესთავაზოს მოსწავლეებს ასარჩევად.*
	1.2.	
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	
	2.5.	
ქვესტანდარტი	*2.6. (გ)*	*რეკომენდებულია, რომ სკოლამ უზრუნველყოს სამედიცინო კაბინეტის სრულად შესაბამისობა 2022 წლის 21 მარტის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანებით №41/ნ/01-23/ნ განსაზღვრულ რეგულაციებთან. კერძოდ, სამედიცინო კაბინეტში უნდა იყოს მაცივარი, უნდა არსებობდეს ხელოვნური ბარიერით (გამყოფი პანელი, ტიხრული შირმა) გამოყოფილი მცირე გასასინჯი სივრცე, პაციენტთა გასინჯვისას*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

		პრივატულობის უზრუნველყოფის მიზნით, ექიმის პოზიციაზე შეირჩეს ბრძანებით განსაზღვრული სპეციალისტი.
	2.2.	
სტანდარტი	***ადამიანური რესურსი***	
ქვესტანდარტი	*3.3.*	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, წახალისებისა და სანქციების სისტემის გამჭვირვალობისათვის გაიწეროს კონკრეტული დისციპლინური სახდელების დაკისრება რომელი დისციპლინური გადაცდომების შემთხვევაში მოხდება.*
	3.4.	

VII. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი	

დაწესებულების მისია	ღირსეული, წიგნიერი, პატრიოტი, კანონმორჩილი, თავდაჯერებული, პასუხისმგებლიანი, ჰუმანურ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი, ჯანსაღი პიროვნებების აღზრდა, რომლებიც ისწრაფვიან თავიანთი სრული პოტენციალის სრულყოფისაკენ.

VIII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების აღწერა	

IX. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: **180**	ექსპერტი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტი არ ეთანხმება ☐	

X. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები:

10

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შედგენილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №40/ნ 2016 წლის 18 მაისის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის N36/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმების საფუძველზე . შპს „ერუდიტი“ სარგებლობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საათობრივი ბადის III მოდელით. ეროვნული სასწავლო გეგმის 23-ე მუხლის თანახმად, ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საათობრივი ბადისაგან განსახვავებით, სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს უცხოური ენების, მათემატიკის, ქართული ენისა და ლიტერატურის გაძლიერებულ სწავლებასა და ასევე, ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელ სავალდებულო საგნებს, სასკოლო პროექტებს, სპორტულ და საკლუბო აქტივობებს, რაც სკოლას უფრო მეტ ინდივიდუალურობას ჰმატებს. სასკოლო სასწავლო გეგმა შემუშავებულია ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზე; აზუსტებს სკოლისათვის ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემულ აუცილებელ დატვირთვას და განსაზღვრავს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ და გაუთვალისწინებელ დამატებით საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებას. სასკოლო სასწავლო გეგმა შედგება ძირითადი ნაწილისა და დანართებისაგან. ძირითადი ნაწილი მოიცავს სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესის ორგანიზების ადმინისტრაციულ და კონცეპტუალურ საკითხებს, მისიას, მიზნებს, ამოცანებსა და პრიორიტეტებს; საგანმანათლებლო პრინციპებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს, საგანმანათლებლო პროცესის (დისტანციური/პირდაპირი) ორგანიზებას, სასწავლო წლის კალენდარს, მოსწავლეთა რაოდენობას, სწავლების მონიტორინგს, საგნობრივ კათედრებს, 2021-2022 სასწ. წლის საათობრივ ბადეს კლასების მიხედვით, სავალდებულო არჩევითი საგნების განაწილებას საგნობრივი ჯგუფების მიხედვით, გრიფირებული სასკოლო სახელმძღვანელოების ნუსხას კლასების/დონეებისა და საგნების მიხედვით, მოსწავლის შეფასების სისტემას, ინკლუზიურ განათლებას. დანართის სახით კი წარმოდგენილია გაკვეთილების ცხრილი, საგნობრივი კურუკულუმები, დამატებითი საგანმანათლებლო რესურსი, ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებეელი დამატებითი საგნების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	პროგრამები, შეფასების რუბრიკები, სასკოლო-საგანმანათლებლო აქტივობების ჩამონათვალი და კლუბური მუშაობის კონცეფცია. სასწავლო დღე იყოფა ორ ეტაპად: ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგაკვეთილო პროცესი გრძელდება 8:40 სთ-დან 15:35 სთ-მდე; საგაკვეთილო პროცესის დასრულების შემდგომ 17:00 სთ-მდე მოსწავლეები მუშაობენ პროექტებზე, საშინაო და კომპლექსურ დავალებებზე, პრეზენტაციებსა და სხვადასხვა აქტივობაზე. დავალების შესრულებაში მოსწავლეებს, წინასწარ შეთანხმებული გრაფიკით, ეხმარებიან საგნის მასწავლებლები, რომლებიც კონსულტაციას უწევენ მოსწავლეს ან მოსწავლეთა ჯგუფს. კლასის დამრიგებელი 17:00 საათამდე არის სკოლაში და მეთვალყურეობას უწევს მოსწავლეებს, სწორად გაანაწილონ დრო და ხარისხიანად შეასრულონ დავალებები. გაკვეთილის ხანგძლივობა 45 წუთია (გამონაკლისს წარმოადგენს პირველი კლასი, სადაც გაკვეთილის ხანგძლივობაა 35 წუთია). სკოლაში 2021-2022 სასწავლო წელს კლასში მოსწავლეთა რაოდენობა განისაზღვრება მაქსიმუმ 20 მოსწავლით. უცხოურ ენაში (ინგლისური ენა) იქმნება განაყოფები მოსწავლეთა ენის ფლობის დონის გათვალისწინებით შემდეგ კლასებში: IX, X, XI კლასები. გარდა ამისა, XII კლასში განაყოფები იქმნება შემდეგ ორ საგანში: მათემატიკასა და ისტორიაში. სკოლა „ერუდიტი“ საკუთარი რესურსებისა და მოსწავლეთა ინტერესის გათვალისწინებით, სთავაზობს მოსწავლეებს შემდეგ სავალდებულო არჩევით საგნებს: 1. მეწარმეობის საფუძვლები , X კლასი, (ისწავლება I მოდული). 2. გარემო და მდგრადი განვითარება, XI კლასი, (I -II მოდული). 3. სახელმწიფო და სამართალი, XII კლასის I სემესტრი, (I მოდული). არჩევითი საგნები ისწავლება კვირაში ორსაათიანი დატვირთვით; არჩევით საგნებში მოსწავლე ფასდება შემდეგი წესით: ჩაეთვალა/არ ჩაეთვალა. სკოლა საგნების სწავლა-სწავლების, სასკოლო პროექტების, სპორტული, საკლუბო აქტივობების (მოსწავლეების, მასწავლებლების, მშობლების ჩართულობით) საშუალებით ცდილობს ხელს შეუწყოს: · ურთიერთპატივისცემის, შემწყნარებლობისა და თანასწორობის დამკვიდრებას მოსწავლეებს, მშობლებსა და მასწავლებლებს შორის; · სკოლის საზოგადოების წევრებისთვის შემოქმედებითი და თანამშრომლობითი გარემოს შექმნას; · მოსწავლეთა მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის განვითარებასა და სამოქალაქო ჩართულობას; · ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის დაცვას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	· კულტურული მრავალფეროვნების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულებისა და ტოლერანტობის დამკვიდრებას; · ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებასა და უსაფრთხოების დაცვას; · გარემოსდაცვით განათლებას მდგრადი განვითარებისთვის; · კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების გზების სწავლებას; · სამეწარმეო უნარების განვითარებას და ინიციატივების წახალისებას; ამის შესაბამისად სკოლამ შესთავაზა მოსწავლეებს ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი სავალდებულო საგანები: · „სამყაროს შემეცნება“ - I-IV · „კითხვის საათი“- I-IV · „პრაქტიკული რუსული ენა“ - II,III,IV · „კულტურული მრავალფეროვნება“ - V-VI და X კლასებში. · „ხელოვნების ისტორია“ V-VIII · „ლოგიკა“ – XII უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას სავალდებულო საგნად პრაქტიკული რუსული აქვს განსაზღვრული II,III,IV კლასებში. თუმცა მეორე უცხოურ ენად არჩევითი საგნის სახით მხოლოდ რუსულის ენის სწავლებაა წარმოდგენილი. ეს მეორე უცხოური ენის არჩევანის უფლებას უზღუდავს მოსწავლეებს. ექსპერტთა რეკომენდაციით, ეროვნული სასწავლო გეგმის (მუხლი 48) გათვალისწინებით, სკოლამ გადაწყვიტა, რომ ახალი სასწავლო წლიდან მოსწავლეებს შესთავაზოს არჩევითი სახით გერმანული ენის სწავლება. საგანი „სამყაროს შემეცნება“ -აძლევს ცოდნას სამყაროს მოვლენების, მათი თანაარსებობის და თანამიმდევრობის შესახებ. საგანი „კითხვის საათი“ ემსახურება ტექსტის წაკითხვის, წაკითხულის გაგება-გააზრებასა და ზეპირი და წერითი გადმოცემის უნარების დროულად განვითარებას; საგანი „პრაქტიკული რუსული ენა“ დაწყებით კლასებში რუსული ენის დამატება განუვითარებს მოსწავლეებს სამეტყველო უნარებს (მოსმენა, კითხვა, წერა, საუბარი); საგანი „კულტურული მრავალფეროვნება“ დაეხმარება მოსწავლეებს გამოუმუშავდეთ კულტურული მრავალფეროვნების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულება და შემწყნარებლობა (ტოლერანტობა). საგანი „ხელოვნების ისტორია „მოსწავლეებს აძლევს ცოდნას ხელოვნების განვითარების გზის შესახებ პრეისტორიული, ანტიკური და შუასაუკუნეობრივი ხმელთაშუაზღვიდან თანამედროვე ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებამდე. საგნის საშუალებით მოსწავლეს უმუშავდება მზრუნველი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დამოკიდებულება ადამიანის მიერ წარსულში შექმნილი ფასეულობების და ნამუშევრების მიმართ; საგანი „ მეწარმეობის საფუძვლები“ ზრუნავს სამეწარმეო უნარების განვითარება -მეწარმეობა არის ინდივიდის უნარი იდეები აქციოს საქმედ. ის მოიცავს როგორც შემოქმედებითი მიდგომის, ინოვაციისა და რისკის, ასევე დასახული მიზნის მისაღწევად დაგეგმვისა და პროექტების მართვის უნარს. საგანი „მსოფლიო კულტურა“ ზრუნავს ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე, მოსწავლეებს შთააგონოს ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის პატივისცემა და მათ დაცვაზე ზრუნვა, რაც ქვეყნის განვითარების ერთ-ერთ წინაპირობას წარმოადგენს. საგანი „ლოგიკა“ ასწავლის მოსწავლეებს გამართულ, თანამიმდევრულ, მწყობრ, სწორ აზროვნებას. მოსწავლეები სწავლობენ მსჯელობის სწორად აგებას და სწორად აგებული მსჯელობის საფუძველზე მართებული დასკვნების გამოტანას. საგანი „გარემო და მდგრადი განვითარება“ საშუალებით მოსწავლეები ღებულობენ გარემოსდაცვით განათლებას მდგრადი განვითარებისთვის - ეს არის მიდგომა, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს მდგრადი განვითარების პრინციპების დანერგვას გარემოსდაცვით კონტექსტზე დაფუძნებით. საგნის წავლება ეხმარება მოსწავლეს გააცნობიეროს პირადი და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა გარემოში მიმდინარე პროცესების მიმართ, გაიაზროს მდგრადი განვითარების მნიშვნელობა, ჩამოუყალიბდეს სწორი დამოკიდებულება გარემოს მიმართ, გაუჩნდეს გარემოს დაცვასა და მის აღდგენასთან დაკავშირებულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღების სურვილი. სკოლის მიერ წარმოდგენილი კლუბური მუშაობის კონცეფცია, უზრუნველყოფს მოსწავლეების აკადემიურ, სოციალურ და ფსიქოლოგიურ განვითარებას. სასკოლო კლუბებში აქტივობა ხელს უწყობს მოზარდებში სოციალური უნარების ჩამოყალიბებასა და განვითარებას. ისინი ეჩვევიან თანატოლებსა და უფროსებთან კონსტრუქციულ ურთიერთობასა თუ გუნდურ მუშაობას. სასწავლო პროცესი ხორციელდება წინასწარ დამტკიცებული განრიგის შესაბამისად. მართალია, ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებისთვის საათების კონკრეტული ოდენობა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული არ არის, მაგრამ სკოლამ, ასეთი სახის მომსახურების შეთავაზების შემთხვევაში თავად უნდა განსაზღვროს იგი. ამასთანავე, სასკოლო სასწავლო გეგმაში დამატებითი საგნების გათვალისწინებისას ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ მოსწავლეებს, ერთი მხრივ, სათანადო დასვენებისა და კვების საშუალება ჰქონდეთ, მეორე მხრივ, ამ მომსახურებას საგაკვეთილო სახე არ ჰქონდეს (ე.ს.გ. მუხლი22) სკოლის მიერ წარმოდგენილ დღის რეჟიმის გაცნობით კი დგინდება, რომ *დამატებითი*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებას საგაკვეთილო სახე აქვს დილის 10 სთ-დან 17 სთ-მდე.

	I კლასი	II –XI კლასები	XII კლასი
1	9.30-10.05	9.30-10.15	8.40-9.25
2	10.25-11.00	10.25-11.10	9.30-10.15
3	11.15-11.50	11.15-12.00	10.25-11.10
4	12.15-12.50	12.15-13.00	11.15-12.00
5	13.05-13.50	13.05-13.50	12.15-13.00
6	13.55-14.40	13.55-14.40	13.05-13.50
7	14.50-15.35	14.50-15.35	13.55-14.40
8	15.40-16.25	15.40-16.25	14.50-15.35
9	16.30-17.00	16.30-17.00	15.40-16.25
10			16.30-17.00

ინტერვიურებით გაირკვა, რომ დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებას საგაკვეთილო სახე არ აქვს და თან მოსწავლეები სათანადო დასვენებისა და კვების საშუალებითაც არიან უზრუნველყოფილი. ამიტომ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

სკოლამ ექსპერტთა რეკომენდაციით შეიტანა სათანადო ცვლილებები დღის რეჟიმში და წარმოადგინა ვიზიტის დასრულებამდე.

გაკვეთილების განრიგი	I კლასი	I-IV კლასები	V–XI კლასები	XII კლასი
1	9.30-10.05	9.30-10.15	9.30-10.15	8.40-9.25
2	10.25-11.00	10.25-11.00	10.25-11.00	9.30-10.15
3	11.15-11.50	11.15-11.50	11.15-11.50	10.25-11.10
4	12.15-12.50	12.15-12.50	12.15-12.50	11.15-12.00
5	13.05-13.50	13.05-13.50	13.05-13.50	12.15-13.00
6	შესვენება კვებისა და დასვენებისთვის	13.55-14.40	13.55-14.40	13.05-13.50
7	14.50-15.35 დამატებითი მეცადინეობები და კლუბური მუშაობა	შესვენება კვებისა და დასვენებისთვის	შესვენება კვებისა და დასვენებისთვის	შესვენება კვებისა და დასვენებისთვის
8	15.40-16.25 დამატებითი მეცადინეობები და კლუბური მუშაობა	15.40-16.25 დამატებითი მეცადინეობები და კლუბური მუშაობა	15.40-16.25 დამატებითი მეცადინეობები და კლუბური მუშაობა	14.50-15.35 დამატებითი მეცადინეობები და კლუბური მუშაობა
9	16.30-17.00 დამატებითი მეცადინეობები და კლუბური მუშაობა	16.30-17.00 დამატებითი მეცადინეობები და კლუბური მუშაობა	16.30-17.00 დამატებითი მეცადინეობები და კლუბური მუშაობა	15.40-16.25 დამატებითი მეცადინეობები და კლუბური მუშაობა

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დამატებითი მეცადინეობები მიმდინარეობს მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით.

სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლი არის დამრიგებელი, რომელიც ემყარება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ხელს უწყობს მოსწავლეებში გონებრივ და ფიზიკური უნარების განვითარებას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვირდრებას, სამოქალაქო ცნობიერების განვითარებას. სკოლაში ყველა კლასს ჰყავს დამრიგებელი. სკოლაში კლასგარეშე საქმიანობას, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, ხშირად განსხვავებული მიზნები აქვს. ამ შემთხევაში კი დამრიგებელთან ერთად ფსიქოლოგი ერთვება აქტიურად მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე და ირჩევს იმ დავალებებს ან თამაშებს, რომელთა გამოყენებითაც ბავშვების შესახებ საჭირო ინფორმაციის შეაგროვებს. ამ შემთხვევაში, ფსიქოლოგის მიზანი მოსწავლის დიაგნოსტიკაა, გუნდში პრობლემური სიტუაციების იდენტიფიცირება და ბავშვების კომუნიკაციის მონიტორინგი, რაც არსებული პრობლემების მოგვარების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. დაწესებულების სასწავლო გეგმის შესწავლამ აჩვენა, რომ სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სასკოლო სასწავლო გეგმა, • სასკოლო გეგმის დანართები, • საათობრივ ბადეზე სამინისტროს თანხმობა, • ხარისხის მართვის ანგარიში, • სადამრიგებლო დებულება, • ბრძანება დამრიგებლების დანიშნვის შესახებ, • დამრიგებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, • ინტერვიურება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლამ 2021-2022 სასწავლო წელს საგნობრივი ჯგუფების მიხედვით შექმნა 5 საგნობრივი კათედრა. კათედრის შემადგენლობა და ფუნქციები ასახულია როგორც სასკოლო სასწავლო გეგმაში, ასევე სკოლის მიერ შემუშავებულ და სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებულ „საგნობრივი კათედრების ზოგად დებულებაში“. კათედრა აერთიანებს საგნობრივ ჯგუფში შემავალ ყველა საგნის მასწავლებელს. კათედრები თავის საქმიანობას წარმართავენ ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის, ეროვნული სასწავლო გეგმის, სასკოლო სასწავლო გეგმის, სკოლის შინაგანაწესის და საგნობრივი კათედრების ზოგადი დებულების საფუძველზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	„საგნობრივი კათედრების ზოგად დებულებას“ სკოლის დირექტორი პედაგოგებს აცნობს პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე. 2021-2022 სასწავლო წლის საგნობრივი კათედრებია: • დაწებითი კლასების კათედრა. ქართული ენა და ლიტერატურა (I-IV კლასები); მათემატიკა(I-IV კლასები); ინგლისური ენა (I-IV კლასები); ბუნებისმეტყველება (I-IV კლასები); სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება(I-IV კლასები);); მუსიკა (I-IV კლასები); სპორტი (I-IV კლასები); კომპიუტერული ტექნოლოგიები (I-IV კლასები); მე და საზოგადოება (III-IV კლასები); სამყაროს შემეცნება (ესგ-თ გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანი I-IV კლასები); კითხვის საათი (ესგ-თ გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანი I-IV კლასები); პრაქტიკული რუსული ენა (II-IV) • ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა: საგანი ისწავლება V-XII კლასებში; • მათემატიკის და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა; კათედრის შემადგენლობაში ერთიანდება შემდეგი საგანები: მათემატიკა (V-XII კლასები); ფიზიკა (ისწავლება VII-XI კლასებში); ქიმია (ისწავლება VIII-XI კლასებში); ბიოლოგია (ისწავლება VII-XI კლასებში); ბუნებისმეტყველება (V-VI კლასები); კომპიუტერული ტექნოლოგიები (ისტ- V-VIკლ); გარემო და მდგრადი განვითარება (არჩევითი საგანი XI კლასი); ლოგიკა (ესგ-ით გაუთ.დამატებითი საგანი XII კლასი); • საზოგადოებრივი მეცნიერებების, ესთეტიკური აღზრდის და სპორტის კათედრა. კათედრის შემადგენლობაში ერთიანდება შემდეგი საგანები: ისტორია (ისწავლება VII -XII კლასებში); სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება (V-IX კლასი); მუსიკა (V-IX კლასი); ფიზიკური აღზრდა და სპორტი (V- XII კლასი); ჩვენი საქართველო(V-VI კლასები); კულტურული მრავალფეროვნება (ესგ-ით გაუთ. დამატებითი საგანი V; VI; X კლასები); ხელოვნების ისტორია (ესგ-ით გაუთ.დამატებითი საგანი V;VI;VII;VIII); მოქალაქეობა (VII;VIII); სამოქალაქო განათლება(IX; X); გეოგრაფია (VII-XI); მეწარმეობის საფუძვლები (არჩევითი საგანი X კლ); საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება (XI კლ) მსოფლიო კულტურა, (არჩევითი საგანი XI კლ); სახელმწიფო და სამართალი (არჩევითი საგანი XII კლ); სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება (XII კლ); • უცხოური ენების კათედრა. კათედრის შემადგენლობაში შედის საგნები: ინგლისური ენა (V- XII კლასი); რუსული ენა (V- XII კლასი);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	კათედრები აწარმოებენ პორტფოლიოს, რომელიც მოიცავს კათედრის სამუშაო აღწერილობას: კათედრის სამოქმედო გეგმას, კათედრის დებულებას, შეფასების კომპონენტებს შესატყვისი რუბრიკებით, კათედრის შეხვედრის ამსახველ ოქმებს, კათედრის ფარგლებში განხორციელებული აქტივობის ამსახველ სხვა დოკუმენტაციას. ამასთანავე, არჩეულ და კათედრაზე დამტკიცებულ გრიფირებული სახელმძღვანელოების ნუსხას, კურიკულუმებს, მატრიცებს შემაჯამებელი დავალებების განრიგს, შემაჯამებელი დავალებების ანალიზს, შეფასების რუბრიკებს, სხვადასხვა გაკვეთილის გეგმებს, გაკვეთილზე დაკვირვების სქემას, სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგნებში შემაჯამებელი დავალებების ანალიზის შედეგად სუსტი მხარეების დაძლევის ღონისძიებებს. საათობრივი ბადე, რომელიც სასკოლო სასწავლო გეგმაშია წარმოდგენილი, შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. სპორტის გაკვეთილებზე მოსწავლეები ეუფლებიან სპორტის სხვადასხვა სახეობას. მასწავლებელთა მიერ წარმოდგენილია ყველა საგნის სასწავლო გეგმა, საგნობრივი სასწავლო პროგრამები ერთიანი ფორმით შედგენილია. ექსპერტთა მიერ შესწავლილმა და შინაარსობრივად გაანალიზებულმა თემატურ-კალენდარულმა გეგმებმა, დაადასტურა მათი ეროვნულ სასწავლო გეგმასთან სრული შესაბამისობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• საათობრივ ბადეზე სამინისტროს თანხმობა, • სასკოლო სასწავლო გეგმა, • სასკოლო გეგმის დანართები, • ხარისხის მართვის ანგარიში, • სადამრიგებლო დებულება, • მატრიცები, • შემაჯამებელი დავალების ანალიზი, • ინტერვიურება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების პირველადი მართვა, მულტიდისციპლინური გუნდის ინფორმირების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სკოლაში მიღების, სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების აღმოჩენის შემთხვევაში მოქმედებისა და ამგვარი მოსწავლის სტატუსის მოხსნისა და სტატუსის ხელახლა მინიჭების წესი. მართალია, ამ ეტაპზე სკოლას არ ჰყავს სსსმ მოსწავლე, მაგრამ ინტერვიურებით, გაირკვა, რომ სკოლის საზოგადოებას აქვს მზაობა ადამიანური და ინფრასტრუქტურული თვალსაზრისით სსსმ მოსწავლეს გაუწიოს სათანადო საგანმანათლებლო მომსახურება: · სკოლას ჰყავს ფსიქოლოგი, რომლის ფუნქციური მოვალეობები სკოლაში არ შემოიფარგლება მხოლოდ კონფლიქტური სიტუაციების მოგვარებით და პრობლემურ ბავშვებთან მუშაობით. ფსიქოლოგი ხელს უწყობს მოსწავლეს სწავლასთან დაკავშირებით წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრაში. · განსაზღვრულია ერთი სველი წერტილი სსსმ მოსსწავლისათვის; · პანდუსები პირველ სართულზე. · შემუშავებულია ინდივიდულური საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების მექანიზმები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ინტერვიურება, • სასკოლო სასწავლო გეგმა, • შენობის დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის შეფასების სისტემა, ქულების გამოანგარიშების წესი, სემესტრული/წლიური შეფასების პრინციპები. შემუშავებულია შეფასების სქემები, რუბრიკები საგნების მიხედვით, რომლებიც სასწავლო პროცესის დაწყებისთანავე ცნობილია სკოლის საზოგადოებისათვის.

20

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სასწავლო პროცესში გამოყენებულია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებები. ერთი მხრივ, ფასდება მოსწავლის მიღწევის დონე საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით და, მეორე მხრივ, თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკა. განმსაზღვრელი შეფასებისათვის გამოყენებულია შეფასების 10 ქულიანი სისტემა, განმავითარებელი შეფასებისათვის კი - მასწავლებლის ზეპირსიტყვიერი ან წერილობითი უკუკავშირი, წამახალისებელი მითითებები, სიმბოლური ნიშნები, თვითშეფასება და სხვა. სპორტში, საგანში „საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება“ და არჩევით საგნებში მოსწავლე ფასდება ჩათვლის სისტემით: ჩაეთვალა/არ ჩაეთვალა. სკოლაში განსაზღვრულია და დადგენილი სასწავლო წლის დაძლევის მინიმალური ბარიერი და შემუშავებულია ამ ბარიერის დაუძლევლობის შემთხვევაში მოსწავლისათვის დახმარების აღმოჩენის მექანიზმები, ამასთანავე - მშობლებთან მოსწავლის აკადემიური მოსწრების ინფორმირების წესები. ძირითადი ამოცანების გადასაჭრელად მოსწავლის შეფასებაში პრიორიტეტი ენიჭება კომპლექსური კონტექსტის მქონე დავალებებს, რომელთა შესრულება მოსწავლეს უბიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად და თანადროულად გამოყენებისაკენ. წლიური გამოცდა ინიშნება მხოლოდ საბაზო და/ან საშუალო საფეხურზე. სკოლამ საგნის წლიური გამოცდის დანიშვნა, სასწავლო წლის დაწყებამდე განსაზღვრა, რომელ კლასში/კლასებში და რომელ საგანში/საგნებში ჩაატარებს ამ გამოცდას და ექნება თუ არა ამ გამოცდაზე მიღებულ ქულას გავლენა საგნის წლიურ ქულაზე. 2021-2022 სასწავლო წელს წლიური გამოცდა განსაზღვრულია VII-XII კლასებში შემდეგ საგნებში: **VII კლასი** - ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა; **VIII კლასი** - ინგლისური ენა, ფიზიკა; **IX კლასი** - ისტორია, ქიმია; **X კლასი** - გეოგრაფია, ბიოლოგია; **XI კლასი** - მათემატიკა,ისტორია; **XII კლასი** - ინგლისური ენა, ქართული ენა და ლიტერატურა; სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის. შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სასკოლო სასწავლო გეგმა, • შეფასების კრიტერიუმები, • შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, • ინტერვიურება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირებისა და მშობელთან ურთიერთობის (ჩართულობის) შესახებ დებულება, რომელიც სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით უზრუნველოფს მშობელს. მშობლები მონაწილეობენ სააღმზრდელო საქმიანობაში, რაც გამოიხატება როგორც საგაკვეთილო პროცესში, ისე კლასგარეშე და სასკოლო ცხოვრებაში მათი აქტიური ჩართულობით. სკოლასა და ოჯახს შორის ორმხრივი, რეგულარული კომუნიკაცია ბავშვის განვითარების ერთ-ერთი მთავარი ხელშემწყობი ფაქტორია. ეფექტური კომუნიკაციისთვის მასწავლებელი და მშობელი ერთმანეთს ინფორმაციას უზიარებენ. პედაგოგები აწვდიან მშობლებს საჭირო ინფორმაციას, თუ რა ხდება ბავშვის ცხოვრებაში, განიხილავენ იმ მიმდინარე პროცესებს, რომლებმაც შესაძლოა გავლენა იქონიონ ბავშვის მიღწევებზე სკოლაში. სკოლა და კლასის დამრიგებელი ზუსტ ინფორმაციას აწვდის მშობლებს მოსალოდნელი შედეგების შესახებ, სკოლის მიერ დაგეგმილი ღონისძიებების, არსებული დისციპლინური ნორმების, შეფასების ინსტრუმენტებისა და სკოლის მიზნების შესახებ. არანაკლებ მნიშვნელოვანია ახალი მოსწავლეების ადაპტირება სასკოლო გარემოში. ამ მიმართულებით სკოლას მშობლებთან ურთიერთობის დასარეგულირებლად შემუშავებული აქვს მშობელსა და ახალ მოსწავლესთან პოზიტიური გარემოს შესაქმნელად ქცევის წესები, მოსწავლის აკადემიური მოსწრების თაობაზე მშობლის ინფორმირების მიზნით სკოლას აქვს ელექტრონული ჟურნალი edupage, რომლის საშუალებითაც მშობელს ნებისმიერ დროს შეუძლია გაეცნოს შვილის აკადემიურ მოსწრებასა და გაცდენებს. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ჟურნალის საშუალებით მშობელი, ერთი მხრივ, ამყარებს კომუნიკაციას მასწავლებელთან და, მეორე მხრივ, დამატებით იღებს ინფორმაციას შვილის შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლის ვებ-გვერდზე https://eruditi.edupage.org/?, ელექტრონულ ჟურნალში, სკოლის სოციალური ქსელში მუდმივად ქვეყნდება სასკოლო ცხოვრების შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაცია, კერძოდ, სკოლაში დაგეგმილი ამა თუ იმ აქტივობებისა და სხვადასხვა ღონისძიების თარიღები. ინტენსიურად იმართება მშობლებთან შეხვედრები. კერძოდ, კლასის დამრიგებელი ვალდებულია შვილის სწავლა-აღზრდასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხი დროულად აცნობოს მშობელს. საჭიროების შემთხვევაში მშობლებთან ერთად საერთო შეკრებებზე განიხილება სკოლის მთავარი პრინციპები, სასკოლო სასწავლო გეგმა, გრიფირებული სახელმძღვანელოები, სასწავლო პროგრამები, მიმდინარე საორგანიზაციო საკითხები და ა.შ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირებისა და მშობელთან ურთიერთობის (ჩართულობის) შესახებ დებულება, • მშობელთან და ახალ მოსწავლესთან პოზიტიური გარემოს შესაქმნელად ქცევის წესები, • მშობელთან კომუნიკაციის ფორმის განსაზღვრის კითხვარი, • სკოლის ვებ-გვერდი https://eruditi.edupage.org/? • ელექტრონულ ჟურნალი, • სკოლის სოციალური ქსელი, • ინტერვიურება, • კლასების დამრიგებელთა სამოქმედო გეგმა, • სადამრიგებლო პროგრამა, • სკოლის შინაგანაწესი, • ელექტრონული ჟურნალი https://eruditi.edupage.ovg
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფისა და მუდმივი გაუმჯობესების მიზნით, სკოლას შემუშავებული აქვს სასწავლო გეგმის განხორციელების შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების, ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობისა და სკოლის მატერიალური რესურსების განვითარების მექანიზმები. სასწავლო გეგმის განხორციელების შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი უზრუნველყოფს სასკოლო სასწავლო გეგმის ეფექტიანობის შეფასებასა და შემდგომი გაუმჯობესების გზების განსაზღვრას. მისი მიზანია სწავლების ხარისხის მაჩვენებლების მონიტორინგი და მათი მუდმივი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სრულყოფა, აკადემიური და მატერიალური პოტენციალის ეფექტურად გამოყენება და მათი განვითარებისათვის ხელშეწყობა. სკოლის ოპერატიული მართვის სტრუქტურა ხელს უწყობს როგორც სასკოლო სასწავლო გეგმის ფორმირებასა და შესრულებას, ჯანსაღი ატმოსფეროს შექმნას, ისე ხარისხის კონტროლსა და სტრუქტურათა შორის ორგანიზებულ მოქმედებას. ხარისხის შესანარჩუნებლად, მის ასამაღლებლად და შემდგომი კონტროლის უზრუნველყოფისათვის სკოლა ახორციელებს საკუთარი მიზნების შეფასებასა და მონიტორინგს. არსებული ვითარების ანალიზი კი ეხმარება სკოლას პრობლემების იდენტიფიცირებასა და პრიორიტეტების განსაზღვრაში. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ხარისხის მართვის სამსახურის ანგარიშს, რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეები, ასევე, სათანადო აქტივობები როგორც მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების მიზნით, ისე არსებული პრობლემების მოგვარების უზრუნველსაყოფად. მაგ.: მათემატიკაში, ქიმიასა და ფიზიკაში შედარებით დაბალი აკადემიური მოსწრების ამაღლების მიზნით დაისახა დამატებითი აქტივობები სასურველი შედეგების მისაღწევად: ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე გაკვეთილების დაგეგმვა, ლაბორატორიული სამუშაოებისათვის მეტი ყურადრების დათმობა და სხვ. სასკოლო სასწავლო გეგმის ეფექტურად განსახორციელებლად მექანიზმში გაწერილია სამუშაოები შემდეგი მიმართულებით: • მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (მათ შორის საკლასო ოთახების, სასკოლო ინვენტარის და სასწავლო პროცესისთვის აუცილებელი რესურსების შემოწმება და საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასთან შესაბამისობის დადგენა, შედეგების ანალიზი და ხარვეზების აღმოფხვრის ღონისძიებების გატარება. • ვებ-გვერდის მუშაობის და ინფორმაციის განახლების შემოწმება. • ელექტრონული ბაზის (eschool) მუშაობის მონიტორინგი. • ახალი კადრების მოძიება. შემუშავებული გეგმის განხორციელების მიზნით: · სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა საგანში ადგენს სასწავლო პროგრამას. შემუშავებს დამატებითი მომსახურების პროგრამებს. · საათობრივი ბადის შესაბამისად, შემუშავებული პროგრამების მიხედვით, წარმართავს სასწავლო პროცესს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	· ხელს უწყობს ბიბლიოთეკის პოპულარიზაციას, პერიოდულად ყიდულობს ახალ წიგნებს. · სწავლების დროს იყენებს, გრიფირებულ, დამხმარე სახემძღვანელოებსა და სხვა რესურსებს · ატარებს წლიურ გამოცდებს; · ატარებს დიაგნოსტიკურ წერებს სხვადასხვა საგნებში. · სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისად ატარებს შემაჯამებელი დავალებებს, მათ შორის შემაჯამებელ-კომპლექსურ დავალებებს, აკეთებს მის ანალიზს. · ახორციელბს მოსწავლეთა კლუბების ფარგლებში სხვადასხვა აქტივობებს. · ახორციელებს სხვადასხვა საინტერესო პროექტებს, მდგრადი განვითარების მიზნებიდან გამომდინარე ახორციელებს 17 მიზანთან დაკავშირებულ სასკოლო პროექტებს. · ახორციელებს გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და მოკლევადიანი (ერთწლიანი) სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრულ აქტივობებს. სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვისათვის სკოლა ხელს უწყობს ადამიანური რესურსის პროფესიულ განვითარებას, ზრუნავს სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი მატერიალური რესურსის განვითარებაზე. ყოველივე ეს ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვასა და მის შემდგომ დახვეწას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის განვითარებისა და ხარისხის მართვის მექანიზმი, • ხარისხის მართვის ანგარიში, • ანგარიში მონიტორინგთან დაკავშირებით, • პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება, • პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის სამოქმედო გეგმა, • მონიტორინგის ჯგუფის შექმნაზე ბრძანება, • მონიტორინგის აქტები N1 დ N2, • პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულებისა და ჯგუფის შექმნის შესახებ დირექტორის ბრანება,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• გაკვეთილზე დასწრების ფორმა.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები:	არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
ხარვეზები:	ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	
ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი: 750.74	
დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს „ერუდიტი“ იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე ფლობს, ქ. თბილისში, ჯურხა ნადირაძის ქ. N22-ში მდებარე შენობა-ნაგებობას საერთო ფართით 750.74 კვ,მ. საიჯარო ვადა განსაზღვრულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 2028 წლის 01 ივლისამდე. შენობა-ნაგებობა არის ოთხსართულიანი. აქვს 4 გასასვლელი კარი. სკოლას აქვს 450 კვ.მ. ფართობის ეზო. სკოლის შენობა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მისი ეზო შემოსაზღვრულია ბლოკის კედლებით. ეზოდან ქუჩის მიმართულებით არის ერთი გასასვლელი კარი, ხოლო შენობიდან ქუჩის მიმართულებით არის 2 გასასვლელი კარი.
ფაქტობრივი მისამართი	ქ. თბილისი, ჯურხა ნადირაძის ქუჩა N22.
მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი	01.14.04.029.024
კვ.მ.	450.00 კვ.მ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები	• ამონაწერი საჯარო რეესტრიდან 22/02/2022, • იჯარის ხელშეკრულება 17/02/2022, • აზომვითი ნახაზი, • დათვალიერება.
შეფასება	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში არის 14 საკლასო ოთახი. საკლასო ოთახები აღჭურვილია მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით. დაწესებულება ფლობს 187 მერხს. საკლასო ოთახებში განთავსებული იყო 127 მერხი. მერხების ნაწილი დასაწყობებულია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• დათვალიერებით, • შესყიდვის დოკუმენტაციით.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შენობის პირველ სართულზე გამოყოფილია 35 კვ.მ. ფართის ოთახი სპორტის გაკვეთილებისათვის. ოთახი აღჭურვილია სხვადასხვა სპორტული ინვენტარით, მათ შორის პინპონკის ჩოგანები, პინპონკის ბადე, ბადმინტონის ჩოგნები, ჰულაპუჰი, ფეხბურთის ბურთები, კალათბურთის ბურთი, სახტუნაო, შვედური კედელი, ველოტრენაჟორი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლას აქვს ეზო, რომელიც გამოიყენება ფიზიკური აქტივობებისათვის, ფრენბურთისათვის. სკოლის ეზოში განთავსებულია ჩოგბურთის მაგიდა. სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება სპორტკომპლექს „არენასთან“ 2022 წლის 15 თებერვლიდან 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, საფარიკაო დარბაზის სარგებლობის უფლებით შაბათ დღეს 14:00 საათიდან 17:00 საათამდე პერიოდში. სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები შაბათ დღეს ერთვებიან სპორტულ აქტივობებში. **დანართი N1. ფოტო-სკოლის ეზო. დანართი N2. ჩოგბურთის მაგიდა.**
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ადგილზე დათვალიერებით, • დირექციასთან გასაუბრებით, • ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებელთან გასაუბრებით, • მშობლებთან გასაუბრებით, • **დანართი N1. ფოტო-სკოლის ეზო,** • **დანართი N2. ჩოგბურთის მაგიდა,** • ხელშეკრულება სპორტული კომპლექსით სარგებლობის შესახებ, • შესყიდვის დოკუმენტაციით.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შენობის პირველ სართულზე განთავსებულია საბუნებისმეტყველო ლაბორატორია. ლაბორატორიაში დგას გამწოვი. ლაბორატორიაში არ არის ონკანი. თუმცა სველი წერტილი, რომელიც განთავსებულია ლაბორატორიის გვერდით, გამოიყენება ლაბორატორიის საჭიროებისათვის. ქიმიური რეაქტივები ინახება კარადაში, რომელიც იკეტება. თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია ლაბორატორიით სარგებლობის წესები. ლაბორატორიაში დგას 12 მერხი. ლაბორატოიისათვის განკუთვნილ ოთახში არის მცირე ზომის 2 ფანჯარა, რომელიც განთავსებულია ისეთ სიმაღლეზე, რომ ფანჯრის გამოსაღებად იყენებენ სპეციალური ხელსაწყოს. **დანართი N3. ფოტო-ლაბორატორია.**
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• დათვალიერებით, • დირექციასთან გასაუბრებით, • **დანართი N3. ფოტო-ლაბორატორია.** • შესყიდვის დოკუმენტაციით, • შპს „ჯეოდეკორთან“ გაფორმებული ხელშეკრულება, • ლაბორატორიით სარგებლობის წესი, ბრძანება N1/32, 20/05/2016

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• დათვალიერებით, • შესყიდვის დოკუმენტაციით, • „ყასტრანსგაზთან“ გაფორმებული ხელშეკრულება, • „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაურთან“ გაფორმებული ხელშეკრულება, • კომუნალური გადახდის ქვითრებით.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკაში განთავსებულია 1608 წიგნი და პერიოდიკა „ისტორიანი“, „national Geographic“. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი აღრიცხულია საინვენტარო წიგნში და დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. ბიბლიოთეკაში გამოკრულია ბიბლიოთეკის სამუშაო საათები და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები. ბიბლიოთეკისთვის განკუთვნილი ოთახი ასევე გამოიყენება ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნილოგიების გაკვეთილებისათვის. განთავსებულია 8 პერსონალური კომპიუტერი. ბიბლიოთეკარი ჩართულია სასკოლო შემოქმედებითი ღონისძიებების ორგანიზებაში. ბიბლიოთეკარი ასევე უძღვება საგანს „კითხვის საათი“.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• დათვალიერება, • ბიბლიოთეკის დებულება, ბრძანება N1/26, 20/05/2016,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• პერიოდულ გამოცემის გამოწერის ხელშეკრულება, • ნასყიდობის ხელშეკრულება • ბიბლიოთეკის საინვენტარო წიგნი, • ანბანური კატალოგი, • მკითხველთა ფორმულარები, • ბიბლიოთეკართან გასაუბრება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის პირველი და მეორე სართულების გარემო ადაპტირებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის. კიბეებზე დამონტაჟებულია პანდუსები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• დათვალიერებით
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	მოსწავლეთა სარგებლობაში არის ინტერნეტში ჩართული 8 პერსონალური კომპიუტერი. კომპიუტერები განთავსებულია ბიბლიოთეკაში. სამასწავლებლოში განთავსებულია 1 კომპიუტერი, სკოლის ბიბლიოთეკარის სარგებლობაშია 1 კომპიუტერი. სკოლის ადმინისტრაციისა და მასწავლებელების სარგებლობაშია აგრეთვე 5 ლეპტოპი. ბიბლიოთეკაში არის სადემონსტრაციო დაფა და პროექტორი. ვებ-გვერდზე https://eruditi.edupage.org/? განთავსებულია დაწესებულების საკონტაქტო ინფორმაცია: მისამართი, ელ.ფოსტა და ტელეფონი. გამოქვეყნებულია სკოლაში ჩატარებული აქტივობებისა და ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია. ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულია ინფორმაცია სკოლის შესახებ, სკოლის მისია და სკოლის შინაგანაწესი. სასწავლო პროცესის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ორგანიზებისა და დისტანციური გაკვეთილების ჩატარების მიზნით გამოიყენება ელექტრონული პლატფორმა - Edupage. სკოლის შესახებ ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია ვებ-გვერდზე http://www.eruditischool.ge/. თუმცა აღნიშნული ვებ-გვერდი სკოლის მიერ არ გამოიყენება სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტებისა თუ სკოლაში მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად. სკოლის განმარტებით, ძველი ვებ-გვერდი უახლოეს ხანში შეწყვეტს ფუნქციონირებას და დარჩება მხოლოდ ერთი ვებ-გვერდი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ადგილზე დათვალიერება, • ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, • დომენის ხელშეკრულება, • ჰოსტინგის ხელშეკრულება, • ვებ-გვერდი https://eruditi.edupage.org/? • ელ. ჟურნალი Edupage • ელ. ჟურნალით სარგებლობის საფასურის გადახდის დოკუმენტაცია, • შპს „ერუდიტის“ პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმი, 10/01/2022. ბრძანება N1/02
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	
ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	საევაკუაციო გეგმის შესაბამისად შენობაში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი. სკოლის შენობის თითოეულ სართულზე დამონტაჟებულია 2-2 ცეცხლმაქრი საევაკუაციო გეგმების შესაბამისად. ცეცხლმაქრები დამუხტულია. სკოლის თანამშრომლებს გავლილი აქვთ საგანგებო სიტუაციების მართვის სასწავლო თეორიული კურსი. დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი. თვალსაჩინოდ გამოკრულია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ნომერი. სკოლაში შექმნილია საგანგებო სიტუაციების შტაბი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• დათვალიერებით, • შესყიდვის დოკუმენტაციით,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• ცეცხლმაქრების დამუხტვის დოკუმენტაციით, • შპს „ერუდიტის“ უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები, 07/02/2020 N1/06 ბრძანებით • ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.N1/39 20/05/2016 • სასწავლო კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატები • ბრძანება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ • ადმინისტრაციასთან გასაუბრებით
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შენობაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• დათვალიერებით, • ხელშეკრულება შენობა-ნაგებობის საევაკუაციო გეგმის შემუშავების შესახებ, 18/04/2016
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში მოწყობილია სამედიცინო კაბინეტი. სკოლას ჰყავს ექიმი. იწარმოება N41/ნ/01-23/ნ ბრძანებით განსაზღვრული „სკოლაში გაწეული სამედიცინო მომსახურების სააღრიცხვო ფორმა“. სკოლის ექიმი ამავდროულად არის სკოლის სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვაზე ზედამხედველი პირი. მედიკამენტები ინახება კარადაში, რომელიც იკეტება. სამედიცინო კაბინეტში არის ონკანი. სამედიცინო კაბინეტში არ არის მაცივარი, არ არის ხელოვნური ბარიერით გამოყოფილი მცირე გასასინჯი სივრცე. ექიმის თანამდებობაზე დასაქმებული პირის სპეციალობაა „სამკურნალო საქმე“. <u>რეკომენდებულია, რომ სკოლამ უზრუნველყოს სამედიცინო კაბინეტის სრულად შესაბამისობა 2022 წლის 21 მარტის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ერთობლივი ბრძანებით №41/ნ/01-23/ნ განსაზღვრულ რეგულაციებთან. კერძოდ, სამედიცინო კაბინეტში უნდა იყოს მაცივარი, უნდა არსებობდეს ხელოვნური ბარიერით (გამყოფი პანელი, ტიხრული შირმა) გამოყოფილი მცირე გასასინჯი სივრცე, პაციენტთა გასინჯვისას პრივატულობის უზრუნველყოფის მიზნით, ექიმის პოზიციაზე შეირჩეს ბრძანებით განსაზღვრული კვალიფიკაციის სპეციალისტი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• დათვალიერებით, • მედიკამენტების შესყიდვის დოკუმენტაციით, • ბრძანება სამედიცინო დახმარებისა აღმოჩენის წესის დამტკიცების შესახებ, 03/12/2021 • შპს „ერუდიტის“ სამედიცინო დახმარებისა აღმოჩენის წესი, • ბრძანება სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვაზე ზედამხედველი პირის განსაზღვრის შესახებ, 04/10/2021 • ექიმთან გასაუბრებით, • ექიმის პირადი საქმის შესწავლით.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შინაგანაწესის მე-5 თავი ეხება სკოლაში უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფას: სკოლა ვალდებულია შექმნას ჯანმრთელობის, სიცოცხლისა და საკუთრებისათვის უსაფრთხო გარემო სასწავლო პროცესის დროს, როგორც სკოლაში, ასევე მის მიმდებარე ტერიტორიაზე. ამისათვის სკოლაში მოქმედებს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული შპს „ერუდიტის“ · უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები, რომელიც შეთანხმებულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. · თამბაქოს თამბაქოს მოხმარების აკრძალვასთან/შეზღუდვასთან დაკავშირებული წესები. · პანდემიის პირობებში საგანგებო სიტუაციაში სამოქმედო გეგმა. წარმოებს სკოლის შენობაში ვიზიტორთა შესვლისა და შენობიდან გასვლის აღრიცხვა. სკოლის თანამშრომელთა და მოსწავლეთა აღრიცხვა ხდება ელექტრონულად შესაბამისი ჩიპების მეშვეობით (ელექტრონული ტაბელი).
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს „ერუდიტის“ უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები, 07/02/2020 N1/06 ბრძანებით • საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წერილი 06/02/2020 MES 8 20 00139996

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• სკოლის შინაგანაწესი • შპს „ერუდიტის“ თამბაქოს თამბაქოს მოხმარების აკრძალვასთან/შეზღუდვასთან დაკავშირებული წესები 20/10/2021 ბრძანება N1/57 • შპს „ერუდიტის“ პანდემიის პირობებში საგანგებო სიტუაციაში სამოქმედო გეგმა, 04/10/2021 ბრძანება N01/53 • შპს „ერუდიტი“ პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმი, 10/01/2022. ბრძანება N1/02 • ბრძანება საგანგებო სიტუაციებზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის შესახებ • ადმინისტრაციასთან გასაუბრებით.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შენობის შიდა და გარე პერიმეტრი სრულად კონტროლდება ვიდეომეთვალყურეობის სისტემით. სკოლის გარე პერიმეტრს აკონტროლებს უსაფრთხოების 6 კამერა. მათგან 4 კამერა აკონტროლებს სკოლის 2 შესასვლელს, ხოლო 2 კამერა - სკოლის ეზოსა და შენობაში შესასვლელს სკოლის ეზოდან. სკოლის შიდა პერიმეტრის კონტროლს (შესასვლელები, დერეფნები, კიბის უჯრედები) უზრუნველყოფს უსაფრთხოების 9 კამერა. სკოლის ბიბლიოთეკაში, რომელიც ასევე გამოიყენება ისტ-ის გაკვეთილებისათვის, დამონტაჟებული იყო ვიდეოკამერა. ოთახში განთავსებული იყო ვიდეოთვალთვალის გამაფრთხილებელი ნიშანი. სკოლაში ვიზიტის პერიოდში კამერა არ ფუნქციონირებდა. სკოლის ადმინისტრაციის განმარტებით აღნიშნული ვიდეოთვალი CAT-ის გამოცდების შემდეგ არ ფუნქციონირებს.სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა რეკომენდაცია და „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ შესახებ მინისტრის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ბრძანებით ვიდეოთვალთვალის განხორციელებასთან დაკავშირებული რეგულაციების უზრუნველსაყოფად შეფუთა უსაფრთხოების კამერა. სკოლის გარე და შიდა პერიმეტრზე განხორციელებული ვიდეოკონტროლის შესახებ შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნები განთავსებულია სკოლის შენობის შესასვლელსა და ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილებში. გამოყოფილია ვიდეომეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• უსაფრთხოების კამერების ფლობის დოკუმენტაცია, • დათვალიერებით, • შპს „ერუდიტი“ პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმი, 10/01/2022. ბრძანება N1/02 • ვიდეომეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთან გასაუბრებით, • ადმინისტრაციასთან გასაუბრებით.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი და საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები. სკოლის წესდება დამტკიცებულია სანოტარო აქტის საფუძველზე 28/12/2012 წ. ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმად განსაზღვრულია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. საქმიანობის საგანია საგანმანათლებლო-კომერციული საქმიანობა და საზაფხულო და ზამთრის სკოლების გახსნა-ფუნქციონირება. შპს „ერუდიტის“ შინაგანაწესი განხილულია პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე და დამტკიცებულია დირექტორის მიერ. სკოლის შინაგანაწესი განსაზღვრავს შემდეგ საკითხებს: სამუშაო, სასწავლო/სააღმზრდელო და დასვენების დრო, სასწავლო პროცესის მონიტორინგის ფორმები და ფარგლები, სასწავლო გარემო, სკოლაში ჩარიცხვისა და სკოლიდან გადაყვანის პირობები, მოსწავლის უფლებები და ვალდებულებები, ჩაცმულობა, მასწავლებლის ვალდებულებები, წახალისების ფორმები, დისციპლინური წარმოება და სახეები, შრომითი ურთიერთობის წარმოშობა, შრომითი ურთიერთობის პირობები, შრომითი ურთიერთობის ანაზღაურება, ხელშეკრულების შეწყვეტა,საბოლოო ანაზღაურება, შრომის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	პირობების დაცვასთან დაკავშირებული ზოგადი ინსტრუქციები, განცხადების/საჩივრის განხილვა, ზოგადი დებულებები. სკოლაში მოქმედებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმი, რომლის თანახმად დაუშვებელია მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა თუ ქცევითი პრობლემების საჯარო განხილვა/გავრცელება, მოსწავლის შესახებ ინფორმაციის (მიღწევების, სერტიფიკატების, ფოტოების, ნამუშევრების და ა.შ) გასაჯაროებისას წინასწარ უნდა იქნეს მოპოვებული მოსწავლის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს „ერუდიტის“ წესდება, 28/12/2012 • შპს „ერუდიტის“ შინაგანაწესი 07/09/2021. ბრძანება N1/37 • შპს „ერუდიტი“ პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმი, 10/01/2022. ბრძანება N1/02
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებას შემუშავებული აქვს „ექვსწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა“ და „ერთწლიანი სამოქმედო გეგმა“, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან. ექვსწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა განხილულია პედაგოგიური საბჭოს სხომაზე და დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით. მასში გაწერილია დაწესებულების პრიორიტეტული მიმართულებები: 1. თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი სასწავლო-სააღმზრდელო პროცესებისა და სამუშაო გარემოს ორგანიზება: მოსწავლეებში სწავლება/სწავლის ხარისხის ამაღლება, მოსწავლეთა თანამშრომელთა მოტივაციის ამაღლების ხელშეწყობა, სადამრიგებლო პროგრამების განხორციელების ხელშეწყობა, საგნობრივი კათედრების ეფექტური ფუნქციონირების ხელშეწყობა, ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარება. 2. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება: სკოლისათვის საკუთარი შენობის მოძიება და შესყიდვა, სკოლის კომპიუტერიზაცია, სკოლის ტექნიკურად აღჭურვის ხელშეწყობა, სკოლის ბიბლიოთეკის ეფექტური ფუნქციონირების ხელშეწყობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	3. სკოლის მართვა და და გადაწყვეტილებები: სკოლის საკანონმდებლო ბაზის წარმოება/განახლება, სკოლის გაფართოება, პარტრიონული ურთიერთობების ხელშეწყობა, სკოლის თვითშეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმების განახლება/ შემუშავება/დანერგვა, უსაფრთხო და ჯანსაღი გარემოს შექმნა სკოლში, თვითშეფასების დანერგვა, სტრატეგიული გეგმის შეფასება. გეგმაში გაწერილია განსახორციელებელი ამოცანები და განხორციელების გზები. სტრატეგიულ გეგმას თან ერთვის დანართი, რომლშიც ცხრილის ფორმატში ასახულია განსახორციელებელი ამოცანები, პერიოდი და შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები. გაწერილია სტრატეგიული გეგმის შეფასების მექანიზმები. ერთწლიან სამოქმედო გეგმაში ასახულია კონკრეტული მიზნები, განხორციელების პერიოდები და პასუხისმგებელი პირები და შესრულების ინდიკატორები. სასწავლო წლის მანძილზე სკოლა მუშაობს ექვსწლიან გეგმაში გაწერილი მიმართულებების მიხედვით დასახული მიზნების შესასრულებლად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ექვსწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმით, 2021-2027; N1/04 ბრძანება, 10/01/2022 • სტრატეგიული გეგმის დანართი, • ერთწლიანი სამოქმედო გეგმით, 2021-2022. N1/39 ბრძანება 07/09/2022 • გასაუბრებით.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს „ერუდიტში“ მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა. წარმოებს საკადრო ბრძანებების ჟურნალი, საერთო ბრძანებების ჟურნალი, შემოსული და გასული კორესპონდენციის აღრიცხვის ჟურნალები. ჟურნალები გადანომრილია, ზონარგაყრილია. სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• საქმისწარმოების წესი, 29/12/2022 ბრძანება N1/70 • გამოცემული აქტებით, • ბრძანებების ჟურნალით, • შესული და გასული კორესპონდენციის ჟურნალებით, • რეგისტრაციის ჟურნალით.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

რეკომენდაციები:	რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები:	არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
ხარვეზები:	ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **სტანდარტი დარღვეულია**

3. ადამიანური რესურსი

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ადმინისტრაციული მენეჯერი, ხარისხის მართვის მენეჯერი, IT მენეჯერი, უსაფრთხოების მენეჯერი, ფსიქოლოგი, იურისტი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, დამლაგებელი, ბიბლიოთეკარი, ექიმი და მასწავლებელები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან ამონაწერი, • საშტატო განრიგი, • თანამშრომელთა დანიშვნის ბრძანებები, • საკადრო ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი, • შრომითი ხელშეკრულებები, • შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი, • დასაქმებულთა პირადი საქმეები, • გასაუბრება ადმინისტრაციასთან, • გასაუბრება დასაქმებულებთან.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ	
პედაგოგთა საერთო რაოდენობა	21
მოწვეული/მაძიებელი	3/1
პრაქტიკოსი მასწავლებლი	0
უფროსი მასწავლებლი	15
წამყვანი მასწავლებლი	1
მენტორის სტატუსი	1

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. სკოლაში დასაქმებულია 21 პედაგოგი. მოწვეული პედაგოგის სტატუსით, 9 საათიანი საათობრივი დატვირთვით, დასაქმებულია 3 მასწავლებელი: ინგლისური ენის მასწავლებელი და ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლები. სკოლას ჰყავს 1 მასწავლებლობის მაძიებელი. შინაგანაწესის მიხედვით განსაზღვრულია შრომითი ურთიერთობის გაფორმებისას კანდიდატის მიერ სავალდებულოდ წარმოსადგენი დოკუმენტაცია, რომელთა შორის მოითხოვება ნასამართლეობის ცნობა (მხოლოდ მასწავლებელს) და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ ცნობა (ყველა დასაქმებულ პირს). დასაქმებულთა პირად საქმეებში წარმოდგენილია შინაგანაწესით განსაზღვრული სავალდებულო დოკუმენტაცია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ამონაწერი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან • საშტატო განრიგი, • მასწავლებლეთა საათობრივი დატვირთვის ბადე, • გაკვეთილების ცხრილი, • შპს „ერუდიტის“ შინაგანაწესი 07/09/2021. ბრძანება N1/37 • პირადი საქმეები, • შრომითი ხელშეკრულებები, • დირექციასთან გასაუბრებით, • მასწავლებლის მაძიებლის პორტფოლიო,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• მასწავლებლებთან გასაუბრებით.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს „ერუდიტის“ შინაგანაწესი განსაზღვრავს სკოლაში თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის წესებს. მასწავლებლის მიღება ხდება კონკურსის გზით, საქართველოს განათლების მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის შესაბამისად. შინაგანაწესით განსაზღვრულია მასწავლებლის შესარჩევად აუცილებელ მოთხოვნები. შინაგანაწესის VIII და IX თავებით განსაზღვრულია სკოლაში „წახალისების ფორმები“ და „დისციპლინური წარმოება და სახეები“. სკოლა დასაქმებულის მიმართ იყენებს წახალისების შემდეგ ფორმებს: სკოლის დირექტორის მიერ ბრძანებით მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოვება, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოვება, ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა. წახალისების ფორმები გამოიყენება დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის წარმატებით დასრულებისათვის, ეროვნულ ოლიმპიადებში წარმატებით მონაწილეობისათვის, საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისა და სანიმუშო სწავლისათვის. სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა და დასაქმებულთა წახალისებისათვის შემდეგი ნომინაციები: წლის საუკეთესო მოსწავლე, წლის საუკეთესო კლასი, წლის საუკეთესო დამრიგებელი, წლის საუკეთესო მასწავლებელი. ვიზიტის პერიოდში დავინტერესდით სკოლის არსებული პრაქტიკით, ნომინაციებში გამარჯვებულის გამოვლენის პროცედურებით, კონკურენტული გარემო როგორ აისახებოდა სასკოლო კლიმატზე. სკოლის დირექციის განმარტებით ეს პროცესი კეთილგანწყობილ სასკოლო ატმოსფეროში მიმდინარეობს და დადებითად აისახება მოსწავლეთა და მასწავლებელთა მოტივაციაზე. დაწესებულებას წერილობითი სახით შემუშავებული ჰქონდა ოთხივე ნომინაციიის გამოვლენის პროცედურა და კრიტერიუმები. მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის კრიტერიუმების გაცნობა ხდება სასწავლო წლის დასაწყისში ზეპირსიტყვირერად. წახალისების სისტემის გამჭვირვალობისათვის დაწესებულებას მიეცა რჩევა, რომ წახალისების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მექანიზმები გაეხადა სასკოლო საზოგადოებისათვის დოკუმენტის ფორმატით/წერილობით ხელმისაწვდომი. ვიზიტის პერიოდში სკოლამ დაამტკიცა მოსწავლეთა, მასწავლებელთა და კლასის დამრიგებელთა წახალისების დებულება. დასაქმებულის/მოსწავლის დისციპლინურ გადაცდომას განიხილავს და წყვეტს სკოლის დირექტორი; გაწერილია დისციპლინური წარმოების წესი. დაკონკრეტებლია, რა ჩაითვლება დასაქმებულის/მოსწავლის დისციპლინურ გადაცდომად, აგრეთვე ჩამოთვლილია დისციპლინური სახდელები. თუმცა შინაგანაწესში არ არის განსაზღვრული კონკრეტული დისციპლინური სახდელების გამოყენება რომელ შემთხვევებში მოხდება. <u>სკოლას მიეცა რეკომენდაცია, წახალისებისა და სანქციების სისტემის მეტი გამჭვირვალობისათვის გაიწეროს კონკრეტული დისციპლინური სახდელების დაკისრება რომელი დისციპლინური გადაცდომების შემთხვევაში მოხდება.</u>
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს „ერუდიტის“ შინაგანაწესი 07/09/2021. ბრძანება N1/37 • მოსწავლეთა, მასწავლებელთა და კლასის დამრიგებელთა წახალისების დებულება, • მასწავლებლის ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესი, 06/12/2020 ბრძანება N1/48 • ადმინისტრაციასთან გასაუბრებით.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში დასაქმებულ პირებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები. ხელშეკრულებები დანომრილი და აღრიცხულია ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალში. მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები ითვალისწინებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით განსაზღვრულ რეგულაციებს: ხელშეკრულებები გაფორმებულია სტატუსების გათვალისწინებით. მასწავლებლებთან გაფორმებულ შრომითი ხელშეკრულებში დასაქმებულის მიერ ხელშეკრულებაზე ხელმოწერით დადასტურებულია, რომ სკოლის დირექტორმა მასწავლებელს შრომითი ხელშეკრულების დადებამდე გააცნო სკოლის შინაგანაწესი. ხელშეკრულებით განსაზღვრულია, რომ სკოლის შინაგანაწესი ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შრომითი ხელშეკრულებები, • შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების მექანიზმი, რომლის მიხედვით თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებას უზრუნველყოფს სკოლის დირექტორი და ხარისხის მართვის მენეჯერი. მასწავლებლები ჩართულნი არიან მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში. მოქმედებს მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება. მუშაობს მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. სკოლამ წარმოადგინა ხარისხის მართვის მენეჯერის ანგარიში 2021-2022 სასწ. წლის პირველ სემესტრში ჩატარებული აქტივობების შესახებ. ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა დასაქმებულ პირთა (მასწავლებლებისა და სკოლის სხვა თანამშრომელთა) პროფესიული განვითარების ღონისძიებებში მონაწილეობის დამადასტურებელი ცნობები და სერტიფიკატები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს „ერუდიტის“ ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმები 03/122021 ბრძანება N1/67, • შპს „ერუდიტის“ ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების მექანიზმების შესახებ ხარისხის მართვის მენეჯერის ანგარიში, • დასაქმებულთა პირადი საქმეები, • დასაქმებულ პირთა პროფესიული განვითარების ღონისძიებებში მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატები და ღონისძიებების ჩამონათვალი, • პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება, • მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და პროფესიული განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფის მუშაობის ამსახველი დოკუმენტაცია, • გასაუბრებით ხარისხის მართვის მენეჯერთან,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• გასაუბრებით სკოლაში დასაქმებულ პირებთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ავტორიზაციის ვიზიტის დროს შპს „ერუდიტში“ ირიცხებოდა 123 მოსწავლე. მოსწავლეთა რაოდენობიდან გამომდინარე სკოლის საზოგადოება არც თუ ისე მასშტაბურია. ინტერვიურების დროს მოსწავლეები, მშობლები და მასწავლებლები სკოლაში შექმნილი „ოჯახური“ გარემოთი უზომოდ კმაყოფილები არიან. ისინი აღნიშნავენ, რომ სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, შესაბამისად, მათ ეძლევათ საშუალება გამოავლინონ შესაძლებლობათა მაქსიმუმი და გადაინაწილონ პასუხისმგებლობები. მოქმედებს მოსწავლეთა თვითმმართველობა. მოსწავლეები ჩართულნი არიან სასკოლო ცხოვრებაში, პროექტებში, ახორციელებენ ინიციატივებს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სკოლის ერთ-ერთი ძლიერი მხარე სწორედ რომ სკოლის თანამშრომელთა მოტივირებული, ენერგიული გუნდია. თანამშრომელთა შორის კოლეგიალური, მეგობრული დამოკიდებულება, განსხვავებული აზრის პატივისცემა, სკოლის საქმიანობის გამჭვირვალობა, ახალგაზრდა კადრებისათვის ცოდნის გაზიარება და ხელშეწყობა პროფესიულ წინსვლაში სასკოლო ცხოვრებაში ჩვეულებრივი მოვლენაა. არანაკლებ მნიშვნელოვანია მშობელთა კმაყოფილება და ჩართულობა სასწავლო პროცესის განვითარებაში (მშობელთა ჩართულობის დებულების ამოქმედება, კლასგარეშე ღონისძიებების ჩატარება მშობლებთან ერთად, კითხვარის შევსება, მშობელთა კრებები და ა.შ.), რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობების მაქსიმუმის გამოვლენას. შედგენილია გამოკითხვის სხვადასხვა ანკეტა. ანკეტირებით დასტურდება, რომ მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის არის კეთილგანწყობისა და ურთიერთთანამშრომლობის ატმოსფერო.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• გასაუბრება მასწავლებლებთან, მშობლებთან და მოსწავლეებთან, • ხარისხის მართვის მენეჯერის ანგარიში, • ანგარიში მონიტორინგთან დაკავშირებით.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

რეკომენდაციები:	რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები:	არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
ხარვეზები:	ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **სტანდარტი დარღვეულია**

● თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, ექსპერტთა ჯგუფი ამასთანავე ავსებს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე.

XI. თანდართული დოკუმენტაცია

3 (სამი) ფოტოსურათი:

დანართი N1. ფოტო-სკოლის ეზო
დანართი N2. ფოტო-ჩოგბურთის მაგიდა
დანართი N3. ფოტო-ლაბორატორია

თბილისი **17 მაისი, 2022 წ.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

გვერდების რაოდენობა - 44

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.